გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 135

2025 წლის 10 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ელექტროფიკაციის დასახლებაში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის - გორის მუნიციპალიტეტის ელექტროფიკაციის დასახლებაში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ მერის ინიციატივა.

იქედან გამომდინარე რომ, ზემოთაღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიზანშეწონილია საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტების, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად

1. გორის მუნიციპალიტეტის ელექტროფიკაციის დასახლებაში არსებული ქუჩებებს მიენიჭოს სახელები თანდართული #1 დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება რეაგირებისათვის გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს. მერიამ მიღებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს", რათა განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში მოახდინოს ვებგვერდზე მისი გამოქვეყნება.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ქ. გორი ელექტროფიკაციის დასახლების დამისამართების სიტუაციური გეგმა

დანართი 1



ლეგენდა

- არსებული შენობა
- დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი
- სიტუაციური მიწის ნაკვეთი

აარპ "ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თემმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო" ს.კ. 418469516	დირექტორის მ/შ	ზ. როსტომაშვილი
	შემსრულებელი	ლ. გაგნიძე

ქ. გორი ელექტროფიკაციის დასახლება

დასახელება	სიგრძე მეტრი	X დასაწყისი	Y დასაწყისი	X დასასრული	Y დასასრული
მე-2 ქუჩის II ჩიხი	175	424901.921	4647279.16	424842.235	4647406.236
მე-2 ქუჩის III ჩიხი	39	424811.67	4647369.568	424802.23	4647331.983
მე-2 ქუჩა	409	424854.964	4647441.258	424886.276	4647539.726
1-ლი ქუჩა	296	425058.196	4647472.112	425276.783	4647657.592
მე-2 ქუჩის I ჩიხი	37	424888.759	4647553.189	424917.557	4647529.939
მე-4 ქუჩა	110	424805.379	4647589.672	424766.35	4647486.895
მე-3 ქუჩა	116	424843.579	4647589.994	424811.055	4647479.105
1-ლი ქუჩის I ჩიხი	91	425230.184	4647595.406	425222.908	4647536.744
მე-5 ქუჩა	178	424624.817	4647599.386	424554.991	4647473.041
მე-2 ქუჩის I შესახვევი	408	424875.943	4647459.844	424969.861	4647444.091